

შპს „მევი“

ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია
(ქ. ახალქალაქი, შაუმიანის ქ.#1)

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი შ.პ.ს. „BS Group“

159 M. Brothers Romelashvilebi st, Gori, Georgia
tel: +(0 370) 273365,599708055, e-mail: makich62@mail.ru

სარჩევი

1. იურიდიული ასპექტები-----3

2. საწარმოს მდებარეობა-----3

3. ინფორმაცია ტერიტორიის და ინფრასტრუქტურის შესახებ, სამუშაო რეჟიმი, წარმადობა---4

4. საწარმოს მოწყობის სამუშაოები-----5

5. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება ექსპლუატაციის ეტაპზე-----6

5.1. ნარჩენების წარმოქმნა-----6

5.2. ხმაურის გავრცელება-----6

5.3. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი-----6

5.4. ფაუნა და ფლორა-----6

5.5. ზემოქმედება ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე-----6

5.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე-----7

5.7. კუმულაციური ზემოქმედება-----7

5.8. ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე-----7

5.8.1. ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებები, გაფრქვევის წყაროები-----7

5.8. ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე-----7

5.8.1. ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებები, გაფრქვევის წყაროები-----7

5.8.2. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე გავლენის მქონე გეოპარამეტრებისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მნიშვნელობები-----7

5.8.3. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში-----8

5.8.4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები-----9

5.8.5. ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელი ემისიების სახეობები და რაოდენობები, მიღებული შედეგების ანალიზი -----10

დანართი 1, საწარმოს გენგეგმა მასზე მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების ჩვენებით-11

დანართი 2, საწარმოს განლაგების სიტუაციური რუკა-სქემა მანძილების მითითებით -----12

დანართი 3, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მანქანური ამონაბეჭდი-----13

დანართი 4, ე. ახალქალაქის მერის ბრძანება -----22

დანართი 5, ავტოგასამართ სადგურზე ქირავნობის ხელშეკრულება -----25

1. იურიდიული ასპექტები

მისამართზე, ქ. ახალქალაქი, შაუმიანის ქ.№1, მოქალაქე მარტუნ მკოიანის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 63.18.31.203, კოორდინატები: X=37.35.80; Y=45.85.760) ქ. ახალქალაქის მერის ბრძანების(დანართი 5) შესაბამისად აშენებული იქნა მინი ავტოგასამართი სადგური, რომლის შემადგენლობაში, სხვა უძრავ ქონებასთან ერთად, ექსპლუატაციაში იმყოფება ბენზინისათვის განკუთვნილი ორი მიწისქვეშა ლითონის რეზერვუარი, მოცულობებით 20მ³ და 50მ³ და დიზელის ერთი რეზერვუარი, მოცულობით 60მ³, ასევე 2,5მ³ მოცულობის ერთი მიწისზედა ქარხნული წარმოების ლითონის რეზერვუარი თხევადი გაზის რეალიზაციისათვის. ავტოგასამართ სადგურზე ქირავნობის ხელშეკრულების (დანართი 5) საფუძველზე ოპერირებს შპს „მეეკი“.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის(დანართი II/6) შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა სკრინინგისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას განეკუთვნება.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „მეეკი“-ის ნავთობსაცავების მოწყობის და ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშს.

საქმიანობის განხორციელებელი და სკრინინგის ანგარიშის შემმუშავებელი ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1.

საქმიანობის განხორციელებელი კომპანია	შპს „მეეკი“
იურიდიული მისამართი	ნინოწმინდის რაიონი, ს. სათხა
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ. ახალქალაქი, შაუმიანის ქ. №1
საქმიანობის სახე	ნავთობსაცავის მოწყობა
საკონტაქტო მონაცემები	
საიდენტიფიკაციო კოდი	236684469
ელექტრონული ფოსტა	kimkosyan@gmail.com
საკონტაქტო პირი	მალხაზ საღირაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	5 51 96 00 00
საკონსულტაციო ფირმა	შ.პ.ს. „BS Group“
დირექტორი	ნინო კობახიძე
მისამართი	ქ. გორი, ძმები რომელაშვილების ქ.№159
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 70 80 55
ელექტრონული ფოსტა	Makich62@mail.ru

2. საწარმოს მდებარეობა

შპს „მეეკი“-ს ნავთობპროდუქტების საცავი მოწყობილია მისამართზე ქ. ახალქალაქი, შაუმიანის ქ.№1. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ქალაქში შესასვლელი გზის პირველ საკადასტრო ნაკვეთს. ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 4200კვ.მ.-ს. მანძილი საკადასტრო საზღვრიდან შაუმიანის ქუჩამდე ტოლია 11 მეტრის, ხოლო მდ. ფარავნამდე - 170 მეტრის. ნავთობსაცავების ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლების საკადასტრო საზღვრებამდე მანძილი შეადგენს: დასავლეთის მხარეს(ს/კ 63.18.31.018) 0,5 მეტრს, ხოლო აღმოსავლეთის(ს/კ 63.18.31.058) მხარეს - 10 მეტრს. ნავთობსაცავების ტერიტორია შემოღობილია მავთულბადით, რეზერვუარების ლუქებისაგან თავისუფალი ტერიტორია დაფარულია გრუნტის ფენით, აღინიშნება მწირი მცენარეული

საფარი ერთეული ბუჩქის სახით. დაგეგმილ ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები. ტერიტორიაზე წინადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს, ზედაპირი დაფარულია ბეტონის ფენით.

ორთოფოტოზე (დანართი 2.1.) ნაჩვენებია საწარმოს მდებარეობა უახლოესი მოსახლეების ჩვენებით.



3. ინფორმაცია ტერიტორიის და ინფრასტრუქტურის შესახებ, სამუშაო რეჟიმი, წარმადობა

აღნიშნული ტერიტორია გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან წარმოადგენდა ახალქალაქის საბინაო-სამშენებლო სამმართველო №1(ДЦУ №1)-ის საკუთრებას, სადაც ფუნქციონირებდა დაწესებულების კუთვნილი სხვადასხვა მოცულობის ნავთობპროდუქტების(ბენზინის, დიზელის, ბიტუმის) მიწისქვეშა რეზერვუარები. შემდგომში ტერიტორია პრივატიზებული იქნა შპს „ჯავახავტოგზა“-ის მიერ, სადაც მოწყობილი იქნა საწარმოს ავტოფარეხი, საცხობი, სამჭედლო, ხოლო არსებული რეზერვუარები გამოყებული იყო შპს „ჯავახავტოგზა“-ის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვისათვის. 2012 წელს მოხდა ტერიტორიის გასხვისება მოქ. მარტუნ მკოიანზე, რომელმაც ახალქალაქის მერის 2021 წლის 26 ოქტომბრის №1494/13 ბრძანების საფუძველზე 2022 წელს ააშენა ავტოგასამართი სადგური, რისთვისაც ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები: კერძოდ მოხდა არსებული შენობა/ფარდულების დემონტაჟი, აშენდა ახალი შენობა, სადაც განთავსდა ოფისი და საოპერატორო, მოეწყო სამი ავტოგასამართი სვეტი და რეზერვუარები საწვავისათვის, ამ მიზნით მოახდინა მიწისქვეშა განთავსებული რეზერვუარების დემონტაჟი (ამოღებული იქნა მიწიდან). ყველა ამოღებული რეზერვუარის (დაახლოებით ათამდე) შემოწმებით დადგენილი იქნა მათი მდგომარეობა საჭირო პარამეტრების მიხედვით(მოცულობა, ჰერმეტიკობა, კოროზიის არსებობა და სხვ), რის შემდგომ შერჩეული იქნა სამი საუკეთესო რეზერვუარი, რომელსაც ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები სრული განახლების მიზნით(გარედან

მთლიანად დაიფარა ანტიკოროზიული ხსნარით, განმეორებით შემოწმდა ჰერმეტიკობაზე, როგორც რეზერვუარი ასევე ლუქი) და შემდგომში განთავსებული იქნა მიწის ქვეშ. მიმდინარე ეტაპზე ექსპლუატაციაში იმყოფება სამი მიწიქვეშა რეზერვუარი: ორი მიწისქვეშა ლითონის რეზერვუარი, მოცულობებით 20მ³ და 50მ³ ბენზინისათვის და დიზელის ერთი რეზერვუარი, მოცულობით 60მ³, ასევე 2,5მ³ მოცულობის ერთი მიწისზედა ქარხნული წარმოების ლითონის რეზერვუარი თხევადი გაზის რეალიზაციისათვის, რომელიც შექმნილი იქნა. ავტოგასამართი სადგურიდან ბენზინის გაცემა ხდება 1 სვეტიდან, მასზე 2 პისტოლეტით, ხოლო დიზელის საწვავის - 1 სვეტიდან, მასზე 1 პისტოლეტით. თხევადი საწვავის რეზერვუარებზე დამონტაჟებულია 3 მეტრი სიმაღლის და 0,05მ. დიამეტრის განქრევის მილები. თხევადი გაზის მიღება ხდება 2,5მ³ მოცულობის ერთ მიწისზედა ქარხნული წარმოების ლითონის რეზერვუარში, ხოლო ავტომობილების გამართვა თხევადი გაზით ხორციელდება ერთი სვეტიდან, მასზე ერთი განქრევის მილით.

საწარმოს ოფისი, ჰიგიენური კვანძი და საოპერატორო ოთახი განთავსებულია 36კვ.მ. ფართობის კაპიტალურ შენობაში. თხევადი საწვავის გასაცემი მოედანი მოქცეულია სახურავის ქვეშ, მოედნის პერიმეტრზე ფუნქციონირებს საწრეტი ღარი უნებლიედ დაღვრილი საწვავის ევაკუაციისათვის, რომელიც დაკავშირებულია ლითონის სახურავის მქონე მიწისქვეშა ორმოსთან - ერთკამერიან სალექართან. სახანძრო სტენდი: ქაფწარმოქმნელი, ნიჩაბი, განთავსებულია ოფისის კედელზე, ხოლო ქვიშის მარაგი - მის მიმდებარედ.

ავტოგასამართი სადგურის საპროექტო წარმადობა შეადგენს: ბენზინი - 1500000 ლიტრი/წელი; დიზელი - 1500000ლ/წელი; თხევადი გაზი - 25 ტონა/წელი. სამუშაო რეჟიმი შეადგენს 365 დღეს, 24 საათიანი გრაფიკით. დასაქმებულია 4 ადამიანი.

საწვავის მიღება განხორციელდება მაღალი ტვირთამწეობის ბენზინშიდებით. საწარმოს წარმადობის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა შეადგენს 1 ოპერაციას 3-4 დღის განმავლობაში.

საწარმოს ზემოქმედების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ან დაცული ტერიტორიები არ მდებარეობენ.

4. საწარმოს მოწყობის სამუშაოები

რეზერვუარები

პირველი რიგის სამუშაოებს წარმოადგენდა რეზერვუარების მოწყობის სამუშაოები, რომელთა შერჩევის და დამუშავების შემდგომ მოხდა საუკეთესო რეზერვუარების განთავსება პირვანდელ ადგილზე უკვე არსებულ ბეტონის სარკოფაგებში, ბეტონის უნაგირის საყრდენებზე, ხოლო გვერდებიდან ამოვსებული იქნა ქვიშის ფენით. სხვა, დანარჩენი რეზერვუარები გატანილი იქნა ტერიტორიიდან.

ოფისი

მოხდა არსებული მცირე ზომის შენობა/ფარდულების დემონტაჟი, საიდანაც მიღებული ინერტული ნარჩენებით ამოივსო სხვა, დანარჩენი რეზერვუარების დემონტაჟის შედეგად დარჩენილი ორმოები, მიწა დაიტკეპნა და გადასწორდა. მცირე რაოდენობით დარჩენილი სამშენებლო ნარჩენები გატანილი იქნა მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. აღნიშნული სამუშაოები და ოფისის მშენებლობა ჩატარებული იქნა კონტრაქტორი კომპანიის მიერ. სამუშაოების ხანგრძლივობამ შეადგინა 1,5 თვე არაინტენსიური მუშაობის რეჟიმით. სამუშაოების განხორციელებისას რაიმე სახის საჩივრები ან მოსახლეობის მხრიდან უკმაყოფილება არ

დაფიქსირებულა. ჩატარებული სამუშაოების განხორციელებისას ბუნებრივი რესურსების გამოყენებას ადგილი არ ჰქონია.

5. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება ექსპლუატაციის ეტაპზე

5.1. ნარჩენების წარმოქმნა

ოპერირებისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს საყოფაცხოვრებო ნარჩენების (საკვების ნარჩენები, ქაღალდის და მუყაოს ნაჭრები, პოლიეთილენის პარკები, დამსხვრეული მინის და პლასტმასის ნარჩენები, ნამუშევარი და წუნდებული ვარვარის ნათურები და სხვ) – 2 მ³/წელ - ასეთი სახის ნარჩენების განთავსება მოხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ასევე სახიფათო ნარჩენები უნებლიედ დაღვრილი ნავთობპროდუქტების და გაზეთილი (ძონძი) სახით. სალექარიდან შეგროვებული ნავთობპროდუქტების და საწმენდი მასალის შენახვა მოხდება სპეციალურ რეზერვუარებში და შემდგომ გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

5.2. ხმაურის გავრცელება

საწარმოს ოპერირება არ ითვალისწინებს მაღალი ხმაურის წარმომქმნელი დანადგარების ექსპლუატაციას. ხმაურის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ელექტროძრავი, რომლის განთავსების ადგილისა და ძრავის ხმაურის დონის გათვალისწინებით, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება დაბალი დონის ზემოქმედებად განიხილება, რაც შეეხება ავტოტრანსპორტს - ავტოტრანსპორტის ტერიტორიაზე მოძრაობით გამოწვეული ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება, საწარმოს მდებარეობის (შაუმიანის ქუჩა წარმოადგენს ქალაქში მთავარ შესასვლელ გზას) გათვალისწინებით, ასევე წარმოადგენს დაბალი დონის ზემოქმედებას.

5.3. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი

ნავთობსაცავის/ავტოგასამართი სადგურის მოწყობის პირობების გათვალისწინებით, მათი ექსპლუატაციისას სანიაღვრე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ნავთობსაცავების განტავსების პირობების გათვალისწინებით, ასევე ადგილი არ ექნება ნავთობპროდუქტების მასიურ დაღვრას.

ხანძრის შემთხვევაში მოქმედებაში მოვა ხანძრის პირველადი ქრობის ინვენტარი.

ზემოთაღნიშნული ღონისძიებების გათვალისწინებით საწარმოს ექსპლუატაციისას მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

5.4. ფაუნა და ფლორა

საწარმოს უშუალო გავლენის ზონაში არ აღინიშნება ბუნებრივ პირობებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა სახეობები. ამას გარდა, ნავთობსაცავების ტერიტორია შემოღობილია, ამიტომ ტერიტორიაზე ცხოველების შემთხვევით გადაადგილება გამორიცხულია. ადგილობრივ ფაუნაზე, მოსალოდნელი არაპირდაპირი ზემოქმედება დაკავშირებულია ხმაურის და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებასთან.

ექსპლუატაციის პირობში ადგილი არ ექნება მაღალი ხმაურწარმომქმნელი წყაროს ან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გადაჭარბებას დადგენილ ნორმებთან.

თუ გავითვალისწინებთ ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის უკვე ადაპტირებულ პირობებს გამოწვეულს ტერიტორიაზე წარსულში მოქმედი საწარმოების გავლენით და ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს, მათზე უარყოფით ანთროპოგენულ ზეგავლენას ადგილი არ ექნება და შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი დონის ზემოქმედება.

5.5. ზემოქმედება ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე

ავტოგასამართი სადგური განთავსებულია ახალქალაქის შესასვლელთან და ფაქტიურად წარმოადგენს ქალაქის სავიზიტო ბარათს, რაც გათვალისწინებული იქნა ავტოგასამართი სადგურის

დიზაინის შექმნისას, რომელიც ორგანულად არის შეხამებული გარემოსთან, დამორებულია ავტომაგისტრალიდან ოპტიმალური მანძილით და ავტოგასამართის იერსახეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მის პერიმეტრზე დაგეგმილი გამწვანების ზოლის მოწყობა. საწარმოს მოწყობის პირობების გათვალისწინებით, ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი დონის ზემოქმედება.

5.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტის და ავტოსატრანსპორტო ოპერაციების ჯერადობის გათვალისწინებით, ზემოქმედება შესაძლებელია განხილული იყოს როგორც დაბალი დონის ზემოქმედება.

5.7. კუმულაციური ზემოქმედება

ავტოგასამართი სადგურის ზემოქმედების ზონაში ანალოგიური ტიპის საწარმო არ ფუნქციონირებს, ამიტომ კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

5.8. ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე

5.8.1. ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებები, გაფრქვევის წყაროები

საწარმოს ექსპლუატაციის დროს ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას ნაჯერი ნახშირწყალბადებისა და ეთილმერკაპტანის სახით, ხოლო გაფრქვევის წყაროები შემდეგია: ავტოგასამართი სადგურის გაწყობა-გამართვის სვეტის განქრევის მიღები („პისტოლეტები“) და საწვავის შესანახი ავზების სასუნთქი სარქველები, რომლებიც თითოეული საწვავის სახეობისათვის განიხილებიან ერთი გაფრქვევის წყაროდ, კერძოდ, ბენზინის სარეალიზაციო უბნისათვის - გ-1, გ-2, გ-3, გ-4, ხოლო დიზელის საწვავის სარეალიზაციო უბნისათვის - გ-5, გ-6, თხევადი გაზის რეზერვუარი, თხევადი გაზით ავტომანქანების გამართვის უბანი.

5.8.2. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე გავლენის მქონე გეოპარამეტრებისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მნიშვნელობები (მოცემულია ცხრილში 5.1.)

ცხრილი 5.1.

მეტეოროლოგიური მახასიათებლების და კოეფიციენტების დასახელება	მნიშვნელობები
1	2
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
ადგილის რელიეფის გავლენის ამსახველი კოეფიციენტი	1,0
წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა, °C	24,1 ⁰
წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, °C	-16 ⁰
ქართა საშუალო წლიური თაიგული, %	
- ჩრდილოეთი	10
- ჩრდილო-აღმოსავლეთი	2
- აღმოსავლეთი	12
- სამხრეთ-აღმოსავლეთი	28
- სამხრეთი	11
- სამხრეთ-დასავლეთი	8
- დასავლეთი	5
- ჩრდილო-დასავლეთი	24
-შტელი	10
ქარის სიჩქარე(მრავალწლიური მონაცემების მიხედვით), რომლის გადამეტების განმეორადობა შეადგენს 5%-ს.	12,2

5.8.3. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

1. გაფრქვევების ანგარიში ბენზინის სარეალიზაციო უბნიდან (გ-1, გ-2, გ-3, გ-4);

ბენზინის უბანზე არსებული ორი რეზერვუარი განიხილება ორი გაფრქვევის წყაროდ, ხოლო 2 „პისტოლეტი“ - ასევე ორი გაფრქვევის წყაროდ.

ლიტერატურული წყაროს[2] მიხედვით 1 ლიტრი ბენზინის რეალიზაციისას ატმოსფეროში გაიფრქვევა 1.4 გრამი ნახშირწყალბადები. საწარმოს პირობებიდან გამომდინარე(წლის განმავლობაში რეალიზებული ბენზინის რაოდენობაა 1500000ლიტრი), ბენზინის სარეალიზაციო უბნიდან გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა ტოლია:

$$M = 1500000 \times 1.4/10^6 = 2,1 \text{ ტ/წელი.}$$

საწარმოს პირობების(365 სამუშაო დღე წელიწადში, 24 საათი დღე-ღამეში) გათვალისწინებით:

$$G = 2,1 \times 10^6 / (365 \times 24 \times 3600) = 0,0666 \text{ გ/წმ}$$

2. გაფრქვევების ანგარიში დიზელის საწვავის სარეალიზაციო უბნიდან (გ-5, გ-6);

დიზელის უბანზე არსებული ერთი რეზერვუარი განიხილება ერთი გაფრქვევის წყაროდ, ხოლო 1 „პისტოლეტი“ - ერთი გაფრქვევის წყაროდ.

იმავე ლიტერატურული წყაროს მიხედვით 1 ლიტრი დიზელის საწვავის რეალიზაციისას ატმოსფეროში გაიფრქვევა 0.0025 გრამი ნახშირწყალბადები. საწარმოს პირობებიდან გამომდინარე(წლის განმავლობაში რეალიზებული დიზელის საწვავის რაოდენობაა 1500000ლიტრი), დიზელის საწვავის რეალიზაციისას გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა ტოლია:

$$M = 1500000 \times 0.0025/10^6 = 0,00375 \text{ ტ/წელი}$$

$$G = 0,00375 \times 10^6 / (365 \times 24 \times 3600) = 0,00012 \text{ გ/წმ}$$

3. გაფრქვევების ანგარიში თხევადი გაზის მიღებისას რეზერვუარში, გ-7

ლიტერატურული წყაროს[2] მიხედვით თხევადი მიღებისას რეზერვუარებში (ცისტერნებში) ტექნოლოგიური დანაკარგები ერთეულ რეალიზებულ თხევად გაზზე შეადგენს 1,15%-ს. საწარმოს მიერ დაგეგმილი სიმძლავრე შეადგენს 25ტონა/წელს.

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M = 25 \times 1,15/100 = 0,2875 \text{ ტ/წელი}$$

$$G = 0,2875 \times 10^6 / (365 \times 24 \times 3600) = 0,009 \text{ გ/წმ}$$

ორგანოლექტიკური ინდიკაციის მიზნით 1 ტონა თხევად გაზას უმატებენ 80 გრამ ეთილმერკაპტანს. მისი წლიური გაფრქვევა ტოლი იქნება:

$$M = 0,2875 \times 80/10^6 = 0,000023 \text{ ტ/წელი}$$

წამური გაფრქვევა:

$$G = 0,000023 \times 10^6 / (8760 \times 3600) = 0,0000007 \text{ გ/წმ}$$

4. გაფრქვევების ანგარიში თხევადი გაზით ავტომანქანების გამართვისას, გ-8

იმავე ლიტერატურული წყაროს მიხედვით თხევადი გაზით ავტომანქანების გამართვისას ტექნოლოგიური დანაკარგები ერთეულ რეალიზებულ თხევად გაზზე შეადგენს 1,34%-ს.

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M = 25 \times 1,34/100 = 0,335 \text{ ტ/წელი}$$

$$G = 0,335 \times 10^6 / (365 \times 24 \times 3600) = 0,0106 \text{ გ/წმ}$$

ეთილმერკაპტანის წლიური გაფრქვევა ტოლი იქნება:

$$M = 0,335 \times 80 / 10^6 = 0,000027 \text{ ტ/წელი}$$

წამური გაფრქვევა:

$$G = 0,000027 \times 10^6 / (8760 \times 3600) = 0,0000008 \text{ გ/წმ}$$

5.8.4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები (ასახულია ცხრილში 5.2)

ცხრილი 5.2.

წარმოები ს, საამქროს , უბნის დასახელებ ა	წყარ ოს ნომე რი	გაფრქვევა-გამოყოფის წყაროს		მავნე ნივთიერებათ ა გაფრქვევის წყაროს მუშაობის დრო		მავნე ნივთიერებათ ა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები		აირჰაეროვანი ნარევის პარამეტრები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოსვლის ადგილას			დამაბი ნძურებ ელ ნივთიე რებათა კოდი	ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის სიმძლავრე		მავნე ნივთიერებათ ა გაფრქვევის წყაროს კოორდინატებ ი	
		დასახელება	რაო დენ ობა	დღე- ღამეშ ი	წელი წადშ ი	სიმაღ ლე,მ	დიამ ეტრი	სიჩქა რე, მ/წმ	მოცულ ობა, მ ³ /წმ	ტემპე რატურა, 0C	მაქს,გ/წმ	ჯამური, ტ/წ	X	Y	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
ავტოგას ამართი სადგურ ი	გ-1	ბენზინის უბანი	4	24	8760	3,0	0,05	4,23	0,0083	20	2754	0,0667	2,1	0	0
	გ-2	დიზელის უბანი	1	24	8760	3,0	0,05	4,23	0,0083	20	2754	0,00012	0,00375	0	5
	გ-3	თხევადი გაზის რეზერვუარი	1	24	8760	2,0	-	-	-	20	2754	0,009	0,2875	-7	11
											1728	0,0000007	0,000023		
გ-4	თხევადი გაზის გაცემის ადგილი	1	24	8760	1,5	-	-	-	20	2754	0,0106	0,335	-6	10	
										1728	0,0000008	0,000027			

შენიშვნა: გ-1 წყაროდ განხილულია ბენზინის უბანი - შედგება ბენზინის ორი რეზერვუარისაგან და ორი სვეტისაგან(დანართი 1 -გენ-გეგმის მიხედვით გაფრქვევის წყაროები: გ-1;გ-2;გ-3;გ-4);

გ-2 წყაროდ განხილულია დიზელის უბანი - შედგება დიზელის ერთი რეზერვუარისაგან და ერთი სვეტისაგან(დანართი 1 -გენ-გეგმის მიხედვით გაფრქვევის წყაროები: გ-5;გ-6;გ-7);

გ-3 წყაროდ განხილულია თხევადი გაზის რეზერვუარი - დანართი 1 -გენ-გეგმის მიხედვით გაფრქვევის წყარო: გ-7;

გ-4 წყაროდ განხილულია თხევადი გაზის გაცემის სვეტი - დანართი 1 -გენ-გეგმის მიხედვით გაფრქვევის წყარო: გ-8;

5.8.5. ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელი ემისიების სახეობები და რაოდენობები, მიღებული შედეგების ანალიზი

ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელი ემისიების სახეობების და რაოდენობების დასადგენად გამოყენებული იქნა ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამა „ეკოლოგი 3.0“, რომელიც აკმაყოფილებს მავნე ნივთიერებათა გაბნევის ნორმების სათანადო მოთხოვნებს. მანქანური ანგარიშისას ზდკ-ს მნიშვნელობები განისაზღვრება სპეციალურად შერჩეულ წერტილებში - საანგარიშო ბადის კვანძებში. საანგარიშო ბადედ მიღებულია კვადრატული ფორმის ტერიტორია 600მ x 600მ, ბიჯით - 100მ. ანალიზი განხორციელდა იმ შემთხვევისათვის, როდესაც ერთდროულად აფრქვევს ყველა წყარო.

გათვლები ჩატარებული იქნა:

1. საწარმოს აღმოსავლეთის მხარეს მდებარე უახლოესი მოსახლის საზღვარზე, რომელიც საწარმოდან დაშორებულია 10,0 მეტრით, ხოლო ნულოვანი გაფრქვევის წყაროდან 40 მეტრით, კოორდინატებით X = 21 მ, Y=-34მ.

2. საწარმოს დასავლეთის მხარეს მდებარე უახლოესი მოსახლის საზღვარზე, რომელიც საწარმოდან დაშორებულია 0,5 მეტრით, ხოლო ნულოვანი გაფრქვევის წყაროდან 45 მეტრით, კოორდინატებით X = -41 მ, Y=-18მ.


2. ნულოვანი გაფრქვევის წყაროდან 500 მეტრიან რადიუსში ყველა მხარეს.

მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 5.3.

ცხრილი 5.3.

მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	მავნე ნივთიერებათა ზდკ-ის წილი ობიექტიდან					
		40 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე 0-ვანი გაფრქვ.წყაროდან, კოორდინატებით X = 21 მ; Y=-34მ.	45 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე 0-ვანი გაფრქვ.წყაროდან, კოორდინატებით X = -41 მ; Y=-18მ.	ნულოვანი წყაროდან 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე			
				აღმოს.	სამხ.	დასავლ.	ჩრდილ.
1	2	3	5	6	7	8	
ნაჯერი ნახშირწყალბადები	2754	0,9	0,84	0,04	0,04	0,04	0,04
ეთილმერკაპტანი	1728	0,44	0,42	0,02	0,02	0,02	0,02

წარმოდგენილი გათვლების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარმოების პროცესში ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია როგორც უახლოესი მოსახლეების, ასევე 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე საწარმოდან აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის მხარეს არ გადააჭარბებს მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.





დანართი 3.

УПРЗА ЭКОЛОГ, ვერსია 3.00

სერიული ნომერი 11-11-1111

დაწესებულების ნომერი 441; მეეკი

ქალაქი ახალქალაქი, მეეკი

დაწესებულების მისამართი: ახალქალაქი, შაუმიანის ქ.1

მრეწველობის დარგი: 11200 ნავთობის მრეწველობა

საწყისი მონაცემების ვარიანტი: 1, საწყისი მონაცემების ახალი ვარიანტი
განგარიშების ვარიანტი: 1, განგარიშების ახალი ვარიანტი
განგარიშება შესრულებულია ზაფხულისათვის
განგარიშების მოდული: "ОНД-86 სტანდარტული"
საანგარიშო მუდმივები: E1= 0.01, E2=0.01, E3=0.01, S=999999.99 კვ.კმ.

მეტეოროლოგიური პარამეტრები

ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა	24.1° C
ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა	-16° C
ატმოსფეროს სტრატოფიკაციის ტემპერატურაზე დამოკიდებული კოეფიციენტი, A	200
ქარის მაქსიმალური სიჩქარე მოცემული ტერიტორიისათვის (გადამეტების განმეორებადობა 5%-ის ფარგლებში)	12,2 მ/წმ

საწარმოს სტრუქტურა (მოედნები, საამქროები)

ნომერი	მოედნის (საამქროს) დასახელება
--------	-------------------------------

გაფრქვევის წყაროთა პარამეტრები

აღრიცხვა:

- "%" წყარო გათვალისწინებულია ფონის გამორიცხვით;
 - "+" - წყარო გათვალისწინებულია ფონის გამორიცხვის გარეშე;
 - "-" - წყარო არ არის გათვალისწინებული და მისი წვლილი არ არის შეტანილი ფონში.
- ნიშნულების არ არსებობის შემთხვევაში წყაროს გათვალისწინება არ ხდება.

წყაროთა ტიპები:

- 1 - წერტილოვანი;
- 2 - ხაზოვანი;
- 3 - არაორგანიზებული;
- 4 - წერტილოვან წყაროთა ერთობლიობა, გაერთიანებული ერთ სიბრტყულად გათვლისას;
- 5 - არაორგანიზებული, დროში ცვლადი გაფრქვევის სიმულაციით;
- 6 - წერტილოვანი, წერტილოვანი ან ჰორიზონტალური გაფრქვევით;
- 7 - ქოლგისებური ან ჰორიზონტალური გაფრქვევის წერტილოვანი წყაროების ერთობლიობა;
- 8 - ავტომაგისტრალი.

აღრიცხვა	მოედნ №	სამქროს №	წყაროს №	გაფრქვევის წყაროს დასახელება	ვარია ნტი	ტიპი	წყაროს სიმაღლე (მ)	დიამეტრი (მ)	აირმტვერ ნარევის მოცულობა (მ ³ /წმ)	აირმტვერ ნარევის სიჩქარე (მ/წმ)	აირმტვერ ნარევის ტემპერატურა (°C)	რელიეფის კოეფ.	კოორდ. X1-ღერძი (მ)	კოორდ. Y1-ღერძი (მ)	კოორდ. X2-ღერძი (მ)	კოორდ. Y2-ღერძი (მ)	წყაროს სიგანე (მ)								
+	0	0	1	ბენზინის უბანი	1	1	3,0	0,05	0,0083	4,22716	20	1,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,00								
ნივთ.კოდი		ნივთიერება		გაფრქვევა, (გ/წმ)	გაფრქვევა, (ტ/წ)	F	ზაფხ: Cm/ზდკ	Xm	Um	ზამთ: Cm/ზდკ	Xm	Um	2754		ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19		0.0667000	2,1000000	1	0,925	17,1	0,5	2,833	9,2	0,5
+	0	0	2	დიზელის უბანი	1	1	3,0	0,05	0,0083	4,22716	20	1,0	0,0	5,0	0,0	5,0	0,00								
ნივთ.კოდი		ნივთიერება		გაფრქვევა, (გ/წმ)	გაფრქვევა, (ტ/წ)	F	ზაფხ: Cm/ზდკ	Xm	Um	ზამთ: Cm/ზდკ	Xm	Um	2754		ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19		0.0001200	0,0037500	1	0,002	17,1	0,5	0,005	9,2	0,5
+	0	0	3	თხევადი გაზის მიღების უბანი	1	3	2,0	0,00	0	0	0	1,0	-7,0	-11,0	0,0	0,0	3,00								
ნივთ.კოდი		ნივთიერება		გაფრქვევა, (გ/წმ)	გაფრქვევა, (ტ/წ)	F	ზაფხ: Cm/ზდკ	Xm	Um	ზამთ: Cm/ზდკ	Xm	Um	1728		ეთანთიოლი (ეთილმერკაპტანი)		0.0000007	0,0000230	1	0,500	11,4	0,5	0,500	11,4	0,5
ნივთ.კოდი		ნივთიერება		გაფრქვევა, (გ/წმ)	გაფრქვევა, (ტ/წ)	F	ზაფხ: Cm/ზდკ	Xm	Um	ზამთ: Cm/ზდკ	Xm	Um	2754		ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19		0.0090000	0,2875000	1	0,321	11,4	0,5	0,321	11,4	0,5
+	0	0	4	თხევადი გაზის გაცემის უბანი	1	3	1,5	0,00	0	0	0	1,0	-6,0	10,0	0,0	0,0	1,00								
ნივთ.კოდი		ნივთიერება		გაფრქვევა, (გ/წმ)	გაფრქვევა, (ტ/წ)	F	ზაფხ: Cm/ზდკ	Xm	Um	ზამთ: Cm/ზდკ	Xm	Um	1728		ეთანთიოლი (ეთილმერკაპტანი)		0.0000008	0,0000270	1	0,571	11,4	0,5	0,571	11,4	0,5
ნივთ.კოდი		ნივთიერება		გაფრქვევა, (გ/წმ)	გაფრქვევა, (ტ/წ)	F	ზაფხ: Cm/ზდკ	Xm	Um	ზამთ: Cm/ზდკ	Xm	Um	2754		ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19		0.0106000	0,3350000	1	0,379	11,4	0,5	0,379	11,4	0,5

გაფრქვევის წყაროებიდან ნივთიერების მიხედვით

აღრიცხვა:

"%" წყარო გათვალისწინებულია ფონის გამორიცხვით;

"+" - წყარო გათვალისწინებულია ფონის გამორიცხვის გარეშე;

"-" - წყარო არ არის გათვალისწინებული და მისი წვლილი არ არის შეტანილი ფონში.

ნიშნულების არ არსებობის შემთხვევაში წყაროს გათვალისწინება არ ხდება.

წყაროთა ტიპები:

1 - წერტილოვანი;

2 - ხაზოვანი;

3 - არაორგანიზებული;

4 - წერტილოვან წყაროთა ერთობლიობა, გაერთიანებული ერთ სიბრტყულად გათვლისას;

5 - არაორგანიზებული, დროში ცვლადი გაფრქვევის სიმძლავრით;

6 - წერტილოვანი, წერტილოვანი ან ჰორიზონტალური გაფრქვევით;

7 - ქოლგისებური ან ჰორიზონტალური გაფრქვევის წერტილოვანი წყაროების ერთობლიობა;

8 - ავტომაგისტრალი.

ნივთიერება: 1728 ეთანთიოლი (ეთილმერკაპტანი)

№	№	№	ტიპი	აღრიცხვა	გაფრქვევა	F	ზაფხ			ზამთარი		
							Cm/ზღვ	Xm	Um (მ/წმ)	Cm/ზღვ	Xm	Um (მ/წმ)
0	0	3	3	+	0.0000007	1	0,5000	11,4000	0,5000	0,5000	11,4000	0,5000
0	0	4	3	+	0.0000008	1	0,5715	11,4000	0,5000	0,5715	11,4000	0,5000
ჯამურად:					0.0000015		1,0715			1,0715		

ნივთიერება: 2754 ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19

№	№	№	ტიპი	აღრიცხვა	გაფრქვევა	F	ზაფხ			ზამთარი		
							Cm/ზღვ	Xm	Um (მ/წმ)	Cm/ზღვ	Xm	Um (მ/წმ)
0	0	1	1	+	0.0667000	1	0,9249	17,1000	0,5000	2,8331	9,2112	0,5000
0	0	2	1	+	0.0001200	1	0,0017	17,1000	0,5000	0,0051	9,2112	0,5000
0	0	3	3	+	0.0090000	1	0,3214	11,4000	0,5000	0,3214	11,4000	0,5000
0	0	4	3	+	0.0106000	1	0,3786	11,4000	0,5000	0,3786	11,4000	0,5000
ჯამურად:					0.0864200		1,6267			3,5382		

გაანგარიშება შესრულდა ნივთიერებათა მიხედვით (ჯამური ზემოქმედების ჯგუფების მიხედვით)

კოდი	ნივთიერების დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია			*ზღვ-ს შესწორების კოეფიციენტი /საორ.უსაფრთხ	ფონური	
		ტიპი	საცნობარო მნიშვნელობა	ანგარიშში გამოყ. მნიშვნელობა		აღრიცხვა	ინტერპოლ.
1728	ეთანთიოლი (ეთილმერკაპტანი)	ზღვ მაქს/ერთოჯ	0,00005	0,00005	1	არა	არა
2754	ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19	ზღვ მაქს/ერთოჯ	1	1	1	არა	არა

საანგარიშო მეტეოპარამეტრების გადარჩევა
ავტომატური გადარჩევა

ქარის სიჩქარეთა გადარჩევა სრულდება ავტომატურად
ქარის მიმართულება

სექტორის დასაწყისი	სექტორის დასასრული	ქარის გადარჩევის ბიჯი
0	360	1

საანგარიშო არეალი

საანგარიშო მოედნები

ტიპი	მოედნის სრული აღწერა	მოედნის სრული აღწერა				სიგანე(მ)	ბიჯი(მ)		სიმაღლე(მ)	ტიპი
		შუა წერტილის კოორდინატები, I მხარე(მ)		შუა წერტილის კოორდინატები, II მხარე(მ)			X	Y		
		X	Y	X	Y		X	Y		
1	მიცემული	-600	0	600	0	1200	100	100	2	

საანგარიშო წერტილები

№	წერტილის კოორდინატები (მ)		სიმაღლე(მ)	წერტილის ტიპი	კომენტარი
	X	Y			
1	21,00	-34,00	2	მომხმარებლის წერტილი	
2	-41,00	-18,00	2	მომხმარებლის წერტილი	
3	0,00	-500,00	2	მომხმარებლის წერტილი	
4	-500,00	0,00	2	მომხმარებლის წერტილი	
5	0,00	500,00	2	მომხმარებლის წერტილი	
6	500,00	0,00	2	მომხმარებლის წერტილი	

განგარიშების შედეგები ნივთიერებების მიხედვით
(საანგარიშო მოედნები)
ნივთიერება: 1728 ეთანთიოლი (ეთილმერკაპტანი)
მოედანი: 1
საანგარიშო მოედნის პარამეტრები:

ტიპი	მოედნის სრული აღწერა				სიგანე	ბიჯი		სიმაღლე
	შუა წერტილის კოორდინატები I რიგის		შუა წერტილის კოორდინატები II რიგის					
	X	Y	X	Y		X	Y	
მიცემული	-600	0	600	0	1200	100	100	2

ნივთიერება: 2754 ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19
მოედანი: 1
საანგარიშო მოედნის პარამეტრები:

ტიპი	მოედნის სრული აღწერა				სიგანე	ბიჯი		სიმაღლე
	შუა წერტილის კოორდინატები I რიგის		შუა წერტილის კოორდინატები I რიგის					
	X	Y	X	Y		X	Y	
მიცემული	-600	0	600	0	1200	100	100	2

**განგარიშების შედეგები ნივთიერებების მიხედვით
(საანგარიშო წერტილები)**

წერტილების ტიპები:

- 0 - მომხმარებლის საანგარიშო წერტილი
- 1 - წერტილი დაცვის ზონის საზღვარზე
- 2 - წერტილი საწარმოო ზონის საზღვარზე
- 3 - წერტილი სანიტარიული დაცვის ზონის საზღვარზე
- 4 - წერტილი დასახლებული ზონის საზღვარზე
- 5 - განაშენიანების საზღვარზე


№	კოორდ X(მ)	კოორდ Y(მ)	სიმაღლე (მ)	კონცენტრ (ზდკ-ის წილი)	ქარის მიმართულება	ქარის სიჩქარე	ფონი (ზდკ-ის წილი)	ფონი გმორიცხვამდე	წერტილის ტიპი
---	------------	------------	-------------	------------------------	-------------------	---------------	--------------------	-------------------	---------------

ნივთიერება: 1728 ეთანთიოლი (ეთილმერკაპტანი)


1	21	-34	2	0,44	324	0,75	0,000	0,000	0
2	-41	-18	2	0,42	66	0,75	0,000	0,000	0
4	-500	0	2	0,02	90	12,20	0,000	0,000	0
5	0	500	2	0,02	180	12,20	0,000	0,000	0
3	0	-500	2	0,02	0	12,20	0,000	0,000	0
6	500	0	2	0,02	270	12,20	0,000	0,000	0

ნივთიერება: 2754 ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19

1	21	-34	2	0,90	327	0,75	0,000	0,000	0
2	-41	-18	2	0,84	66	0,75	0,000	0,000	0
4	-500	0	2	0,04	90	12,20	0,000	0,000	0
5	0	500	2	0,04	180	12,20	0,000	0,000	0
3	0	-500	2	0,04	0	12,20	0,000	0,000	0
6	500	0	2	0,04	270	12,20	0,000	0,000	0



2754 ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ჩაღკვეთა



N 1494 13
26/10/2021

1494-13-4-202110261034



მშენებლობის დაწყების ნებართვის გაცემის შესახებ

საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საკმინოების კოდექსი“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 101-ე მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 31 მაისის 2019 წლის №255 დადგენილების დანართი №1-ის, 1 პუნქტის, 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მე-6 მუხლის 3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტების, მე-11 მუხლის, მე-6 პუნქტის

შესაბამისად

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გაიცეს მინი ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის დაწყების ნებართვა, მისამართზე ქ. ახალქალაქი, შაუმიანის №1. ამშენებელი-მარტუნ მკოიან
2. მარტუნ მკოიანს გაიცეს დადგენილი ნიმუშის მშენებლობის დაწყების ნებართვა.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ახალქალაქი, მაშტოცის ქ. №110).

იურიკ უჩანიახ

მუნიციპალიტეტის მერი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება



ყაიბაძე - სურია

N 1467 13
19/10/2021

1467-13-4-202110191413



ქალაქთმშენებლობის პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი საქართველოს კანონის მე-12 თავის, 101-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის, მე-3 მუხლისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მე-6 მუხლის, მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის და მე-6 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს ქალაქთმშენებლობითი პირობები ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის დაწყების ნებართვის გაცემისთვის, მისამართზე-ქ. ახალქალაქი, შაუმიანის ქ. №1.
ამშენებელი: მარტუნ მკოიან
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ახალქალაქი, მამტოცის ქ. №110).

იურიკ უნაიაძე

მუნიციპალიტეტის მერი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია



ნავთობპროდუქტების უკრაინის აგს-ის ქირავნობის ხელშეკრულება

16- დეკემბერი 2021 წელი

ქ.ახალქალაქი

1. ხელშეკრულების მხარეები

- 1) „გამქირავებელი“ მარტუნ მკოიანი (დაბადებული 19.03.1967 ქ.ახალქალაქი, პ/ნ 07001001210 მცხოვრები, ქ. ახალქალაქი ერევანიანის 44
- 2) „დამქირავებელი - შპს „მეეკი“, ს/კ 236684469 დირექტორი პეტროს ნანაიანი (დაბადებული 04,10,1979) წელს ქ. ნინოწმინდაში, პირადობის მოწმობა N11ic32842, პ/ნ 32001001954, გაცემული 05,04,2012 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხოვრები ქ.ნინოწმინდა, კამოს ქ N5

2. ხელშეკრულების საგანი

- 1) გამქირავებელმა გადასცა დამქირავებელს და დამქირავებელმა მიიღო ქირავნობის საგანი ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით.
- 2) ქირავნობის საგანს წარმომადგენს უძრავი ქონება (ავტოგასამართი სადგური ნავთობპროდუქტების) რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ.ახალქალაქი შაუმიანის ქ N1
- 3) ქირავნობის საგანის მახასიათებელია: სარეგისტრაციო ზონა ქ. ახალქალაქი, კოდი - 63,სექტორი ქ.ახალქალაქი, კოდი-18, კვარტალის N31, ნაკვეთის N202 ფართობი - ზომის ერთეული კვ/მ. დაუყუხუსტებელი 4200 მისამართზე : ქ.ახალქალაქი, შაუმიანის ქ N1 ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო-სამეურნეო. საკუთრება მარტუნ მკოიან

3. ხელშეკრულების ვადა და პირობი

- 1) ხელშეკრულება ძალაშია მასზე მხარეთა ხელიმომწერის დროიდან და ძალაშია 5(ხუთი) წლის ვადით 16 დეკემბერი 2026 წლამდე .
- 2) ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადამდელი შეწყვეტა დაიშვება
 - ა) თუ ერთი მხარე არღვევს ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვალდებულებს .
 - ბ) მხარეთა ურთიერთ შეთანხმებით.
- 3) ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობას წარმომადგენს ის რომ ხელშეკრულების საგანი გადაეცემა დამქირავებელს სამეწარმეო მიზნებისათვის .
- 4) დამქირავებელს უფლება აქვს ზემოთაღნიშნულ ტერიტორიაზე შეასრულოს სარემონტო სამუშაოები, წყლის გაყვანა კანალიზაციის გაყვანა, ელექტრო-ენერგიის გაყვანა და სხვადასხვა სამუშაოების შესრულება .

აგს-ის ეიფა 1470.199

4. ქირავნობის საგნის უნაკლობა :

- 1) გამქირავებლის განცხადებით საგანი უნაკლოა , მესამე პირებს არ შეიძლება პრენზია ჰქონდეთ მასზე.
- 2) დამქირავებელს უკლება აქვს ქირავნობის საგანი ქვექირავნობის წესით გადასცემსამე პირებს გამქირავებლის წერილობითი ნებართვის გარეშე თავის შეხედულებისამებრ.
- 3) მხარეთა განცხადებით საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის და იგი აკმაყოფილებს დამქირავებლის მიზანს.

5. მხარეთა უფლები :

- 1) გამქირავებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამქირავებელს ამ ხელშეკრულებით ნაკსრი ვალდებულებების შესრულება .
- 2) ვადის დამთავრების მომენტში დაიბრუნოს ქონება უკან, იგივე მდგომარეობაში , რა მდგომარეობაშიც ჩააბარა დამქირავებელს .
- 3) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დამქირავებელი პასუხისმგებელია კომუნალურ და საგადასახადო ვალდებულებებზე.

6. ქირავნობის ქირა

- 1) ქირავნობის საგნის ქირა შეადგენს თვეში 300(სამასი) ლარი
- 2) მხარეთა შეთანხმებით შეიზღუბა დადგინდეს ქირის სხვა განაკვეთიც .

7. დასკვნითი დებულებანი

- 1) ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად , რომელთაგან თითო ინახება მხარებთან.

მხარეთა ხელმოწერები :

გამქირავებელი :

მარტუნ მკოიან

დამქირავებელი :

პეტროს ნანაიან



ATC - რეგისტრაცია

უმრავლესობის (თხევადი აირის აგს-ის)

ქირავნობის ხელშეკრულება

07.02.2022 წ

ქ.ახალქალაქი

1 ხელშეკრულების მხარეები:

- 1) „გამქირავებელი“ მარტუნ მკოიან , დაბადებული 19.03,1967 წელს ქ. ახალქალაქში , მცხოვრები ქ. ახალქალაქი ერევანიანის ქ N44 , პირადი ნომერი N07001001210.
- 2) „ დამქირავებელი „ - შპს „მეეკი“ ს/კ 236684469 დირექტორის პეტროს ნანაიანის (დაბადებული 04,10,1979 წელს ქ. ნინოწმინდაში , პირადი N 32001001954, გაცემული 05.04.2012 წელს ნინოწმინდის რაიონის შს განყოფილების მიერ, მცხოვრები ქ.ნინოწმინდაში , კამოს ქ 4 წარმომადგენლობით.

2. ხელშეკრულების საგანი :

- 1) „გამქირავებელმა „ გადასცა დამქირავებელს და დამქირავებელმა მიიღო ქირავნობის საგანი ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით.
- 2) ქირავნობის საგანს წარმოადგენს უმრავლესობის ქონება (თხევადი აირის აგს-ი) რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ. ახალქალაქი , შაუმიანის 1 , შვიდნიშნანი კოდი 2570005

3. ხელშეკრულების ვადა და პირობები

1) ხელშეკრულება ძალაშია მასზემხარეთა ხელმოწერის დროდან და ძალაშია 5 (ხუთი) წლის ვადით 07.02.2027 წლამდე

- 2)ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადამდელი შეწყვეტა დაიშნება
 - ა) თუ ერთი მხარე არდგევს ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვალდებულებებს.
 - ბ) მხარეთა ურთიერთ შეთანხმებით.

3) ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობას წარმოადგენს ის რომ ხელშეკრულების საგანი გადაეცემა დამქირავებელს სამეწარმეო მიზნებისათვის.

4. ქირავნობის საგნის უნაკლობა :

- 1) გამქირავებლის განჩხადებით საგანი უნაკლოა მესამე პირებს არ შეიძლება პრენზია ჰქონდეთ მასზე.
- 2) დამქირავებელს უკლება აქვს ქირავნობის საგანი ქვექირავნობის წესით გადასცეს მესამე პირებს გამქირავებლის წერილობითი ნებართვის გარეშე თავის შეხედულებისამებთ.

- 3) მხარეთა განცხადებით საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის და იგი აკმაყოფილებს დამქირავებლის მიზანს .

5. მხარეთა უფლება:

- 1) გამქირავებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამქირავებელს ამ ხელშეკრულებით ნაკსრი ვალდებულებების შესრულება .
- 2) ვადის დამთავრების მომენტში დაიბრუნოს ქონება უკან, იგივე მდგომარეობაში , რა მდგომარეობაშიც ჩააბარე დამქირავებელს .
- 3) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დამქირავებელი პასუხისმგებელია კომუნალურ და საგადასახადო ვალდებულებებზე.

6. ქირავნობის ქირა

- 1) ქირავნობის საგნის ქირა შეადგენს თვეში 300 (სამასი) ლარი
- 2) მხარეთა შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს ქირის სხვა განაკვეთიც

7. დასკვნითი დებულებანი:

- 1) ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარ მნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ინახება მხარეებთან .

მხარეთა ხელმოწერები:

გამქირავებელი _____  _____ მ. მკოიან

დამქირავებელი _____  _____ პ. ნანაიან